საქართველოს კანონი

„ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 30.12.2004, მუხ. 213) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) „უწერის“ მიწისქვეშა მინერალური წყლისთვის, წყლის ჩამოსასხმელად (სასმელ-სამკურნალო მიზნით) გამოყენების დროს, 1 $м^3$ წყალზე – 4 ლარით;“;

ბ) „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ე^1$“ ქვეპუნქტი:

„$ე^1$) „უწერის“ მიწისქვეშა მინერალური წყლისთვის, წყლის გარეგანი მოხმარების მიზნით (სამკურნალო აბაზანებისთვის) გამოყენების დროს, 1 $м^3$ წყალზე – 0.04 ლარით;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

29 მაისი 2015 წ.

N3674-IIს